საქართველოს კოლმეურნეობებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესყიდვა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 55 (11059) | პარასკევი, 7 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სართიჭალის მტს-ის მექანიზატორები გზას ულოცავენ ტრაქტორისტებს XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში გამგზავრების წინ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მძლავრი ტექნიკა—კოლმეურნეობებს

საკოლმეურნეო სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. საბჭოთა ადამიანებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და თეზისები ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ მიაჩნიათ საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოვლინებად. ისინი ამ ისტორიულ დოკუმენტებს შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი აღმავლობით უპასუხებენ.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები უკვე სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ შემოქმედებით ინიციატივას და ბევრგან უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ იმ ამოცანის განხორციელებას, რომელიც დასახულია სოფლის მეურნეობის წინაშე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ქვეყნდება მასალები იმის შესახებ, რომ წითელწყაროს რაიონის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ უკვე დაიწყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაგან სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესყიდვა. **სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ წითლის მტს-დან გუშინ შეიძინა ტრაქტორები და სხვა მანქანები. ასევე შეიძინეს მანქანები ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის, არბოშიკის, ზემო ქედის და სხვა კოლმეურნეობებმა. საგარეჯოს რაიონის სართიჭალის კოლმეურნეობამ გუშინ ამავე სოფლის მტს-დან შეიძინა 20 ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ახლა აქ იმდენი ტექნიკა აქვთ, რომ შეუძლიათ შეუფერხებლად დაამუშაონ მიწა. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობამ უკვე შეისყიდა 269.300 მანეთის ტექნიკა. კოლმეურნეობებში იქმნება მექანიზატორთა საკუთარი კვალიფიციური კადრები.**

ცნობები, რომლებიც რედაქციას მოსდის, მოწმობენ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეები, მექანიზატორები, საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, ინტელიგენცია დიდი ინტერესით განიხილავენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხს და ეძებენ იმ კონკრეტული ამოცანების სწორ გადაწყვეტას, რომლებიც წამოიჭრება ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში ტექნიკის შეძენის დროს.

კოლმეურნეობების მიერ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაგან ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა ტექნიკის შეძენა დაემთხვა იმ მომენტს, როცა უკვე დადგა გადამწყვეტი პერიოდი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები წელს შარშანდელზე უკეთესად ემზადებიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, წარმატებით ანაღდებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მეთელი დატვირთვით გამოყენებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება ჩვენს წინაშე ახალ პერსპექტივებს სახავს. ტექნიკის შესყიდვასთან ერთად საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უფრო გონივრულად გამოვიყენოთ მანქანები კოლმეურნეობებში, კარგად მოვუაროთ ტექნიკას. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების დღეებში ტექნიკისათვის უნდა ავაგოთ ფარდულები. მანქანების ყოველდღიური მოვლისათვის საჭიროა კოლმეურნეობებმა მოამზადონ ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, რათა არ შეფერხდეს ტექნიკის მუშაობა.

საგაზაფხულო კულტურების თესლის დროულად მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თესლი მომავალი უხვი მოსავლის ოქროს ფონდია. ამას კარგად ითვალისწინებენ სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, გეგეჭკორის და სხვა რაიონები, რომლებსაც საგაზაფხულო კულტურების დასათესად უკვე მზად აქვთ ყველა სახის თესლი. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ადიგენის რაიონზე. აქ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო სათესლე მასალის მომარაგება, გაწმენდა და კონდიციამდე აყვანა. რაიონში გეგმით საჭიროა 2.096 ცენტნერი მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების თესლი. მაგრამ ამ საქმისათვის რატომღაც თავს არ იწუხებენ, კონდიციური თესლი მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით აქვთ.

ბოგდანოვკის რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის საჭიროა სულ ცოტა 28.537 ცენტნერი თესლი. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით რაიონში ნელი ტემპით მუშაობენ. მსგავს ფაქტებს სხვა რაიონებშიც ვხვდებით.

ამჟამად პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების უსწრაფესად დამთავრება და თესვის ორგანიზებულად ჩატარება. მიმდინარე წელს სიმინდისა და სოიის თესვა მთელ ფართობზე უნდა მოხდეს მხოლოდ დაყალიბებული თესლით. ამასთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას დამხარისხებელი მანქანების საღღეღამისო მუშაობა, რათა მარტის დამლევისათვის რესპუბლიკაში დაყალიბებულ იქნას 41.400 ცენტნერი სიმინდის თესლი და 1.000 ცენტნერი სოიის თესლი.

საქართველოში ზოგან უკვე დაიწყო ქერის, შვრიის, მზესუმზირას და სხვა საგაზაფხულო კულტურების თესვა. კაჭრეთის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, წითელწყაროს, გარეუბნის რაიონებში უკვე დაითესა პირველი ასეული ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. სწორედ ახლა, საგაზაფხულო თესვის დღეებში ეყრება საფუძველი მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავალს. სოფლის მეურნეობის მუშაკების ღირსების საქმეა შეუფერხებლად გამოიყენონ ტექნიკა და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა დათესონ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები დღითიდღე სულ უფრო ფართო გამოხმაურებას პოულობს. კრებებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს კოლმეურნეობებში, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, კოლმეურნეები, მექანიზატორები აყენებენ წინადადებებს და იძლევიან საქმიან რჩევას, თუ უკეთ როგორ განხორციელდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია.

თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა საბჭოთა დემოკრატიზმის სასიცოცხლო ძალის მკაფიო გამოვლინებაა. საბჭოთა ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სავსებით შეესაბამება საკოლმეურნეო წყობილების განუხრელი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ინტერესებს.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებო! მშობლიური კომუნისტური პარტიის დიდ ზრუნვას ვუპასუხოთ ახალი წარმატებების მოპოვებით. 1958 წელი გადავაქციოთ მკვეთრი გარდატეხის წლად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

გუშინ წითელწყაროში

წ ი თ ე ლ წ ყ ა რ ო. („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო რაიონის მტს-ებში, მინდვრად სამუშაოზე მყოფ მათს სატრაქტორო ბრიგადებში.

სულ რამდენიმე დღე გავიდა, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“, და უკვე ხორცს ისხამს ამ ისტორიულ დოკუმენტებში უახლოესი მომავლისათვის გადასაწყვეტად დაყენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

გასაკვირი აქ არაფერია. ეს საკითხი უკვე თავისთავად მომწიფებული იყო გადასაწყვეტად. პარტიამ ბრძნულად განჭვრიტა მტს-ების რეორგანიზაციის აუცილებლობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — ამბობს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. მამაიაშვილი, — ჩაქსოვილია ყველა ჩვენი კოლმეურნე გლეხკაცის აზრები და გრძნობები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს მხურვალე მოწონებით შეხვდნენ რაიონის კოლმეურნეობებში. როგორც კი პრესაში გამოქვეყნდა აღნიშნული დოკუმენტები, პარტიის წითელწყაროს რაიკომში აქტივთან გაიმართა თათბირი, რის შემდეგაც ადგილებზე კოლმეურნეობებსა და მტს-ებში გაიშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა დოკუმენტების თვითეული კოლმეურნისა და მექანიზატორისათვის გასაცნობად.

— ამით ჩვენ გვსურდა, — გვიამბო პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. ჯავახიძემ, — ხალხის აზრი გაგვეგო. კოლმეურნეები ისეთი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის ღონისძიებებს, რომ იქვე მოითხოვდნენ, ბარემ ამ კრებაზევე გადავწყვიტოთ ტექნიკის შეძენის საკითხიო. ბევრ კოლმეურნეობაში ასეც მოხდა. უკვე დააზუსტეს რა სახის და რა რაოდენობის ტრაქტორები და მანქანა-იარაღები უნდა შეიძინონ, თანხებიც განსაზღვრეს. იმსჯელეს მექანიზატორთა კადრებით დაკომპლექტების შესახებ, რაიონული საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის ფორმებზე და მათს სტრუქტურაზე, განიხილეს ბევრი სხვა წინადადებებიც.

პარტიის რაიკომის ბიურომ 4 მარტს თავის გაფართოებულ სხდომაზე უკვე კონკრეტულად განიხილა რაიონის მტს-ების რეორგანიზაციის საკითხი და მოიხმინა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა და მტს-ების დირექტორების ინფორმაციები მათი წინადადებებისა და მოსაზრებათა შესახებ. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ერთხმად განაცხადეს, რომ წევრთა კრებებსა და გამგეობების სხდომებზე მიღებულია ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი რაც შეიძლება დაჩქარდეს კოლმეურნეობებისათვის ტრაქტორებისა და სხვა ტექნიკის მიყიდვა, რათა ხელი არ შეგვშალოს საგაზაფხულო ხვნა-თესვაშიო.

გუშინ დილით, რაიონული კომისია, რომლის შემადგენლობაშიც 19 კაცი შედის, შეუდგა მუშაობას. თვითეულ მტს-ზე მიმაგრებულია კომისიის ხუთ-ხუთი წევრი. მათ აქვთ შედგენილი კალენდარული გეგმა — რომელ დღეს რომელ კოლმეურნეობას უნდა გადასცენ შესყიდული ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

დღის 12 საათზე წითლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მოვიდნენ სოფელ ზემო მაჩხაანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის წარმომადგენლები მათი თავმჯდომარეების ნ. მამაიაშვილისა და ნ. ყოჩიაშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნული მტს-ებიდან მათ მიიღეს ის ტექნიკა, რომლებითაც აღჭურვილი იყო მათს კოლმეურნეობებში მომუშავე სატრაქტორო ბრიგადები. მანქანა-იარაღების მიღება სათანადო აქტებით ხდებოდა ბრიგადების სამუშაო ადგილებზე და არა მტს-ების კარმიდამოში, სადაც ახლა მხოლოდ კომბაინები და სარემონტო ტრაქტორებია თავმოყრილი.

დღეს კიდევ ორმა კოლმეურნეობამ — ქედის მტს-დან სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ და გამარჯვების მტს-დან სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ მიიღეს შესყიდული ტრაქტორები და სხვა იარაღ-მანქანები. ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს არსენ კობაიძეს და ალექსანდრე გონაშვილს მთელ დღეს მუხლი არ ჩაუკრეფიათ. მტს-ის დირექციიდან მინდორში, სატრაქტორო ბრიგადაში, იქიდან სახელოსნოში, შემდეგ კოლმეურნეობაში, — ასეთ მოძრაობას მოითხოვდა მათი მუშაობა.

დიახ, ასეთი ცხარე დღეები აქვთ ახლა რაიონის კოლმეურნეობებს, მათ თავმჯდომარეებს. არც მტს-ის დირექტორები ისვენებენ—მათ კიდევ უფრო ბევრი რამ აქვთ საფიქრებელი — კოლმეურნეობებს ხომ უნდა მიჰყიდონ გამართული, ყოველმხრივ ვარგისი ტექნიკა? სახელოსნოში შესარემონტებლად მოყვანილი ტრაქტორი მალე უნდა. გამოაჯანსაღონ, რომ თავის პატრონს დროზე დაუბრუნდეს.

მარტო დღეს რაიონის 4 კოლმეურნეობამ სამი მტს-იდან შეიძინა 3.900 ათასი მანეთის სხვადასხვა მარკის ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

იმასთან დაკავშირებით, რომ კოლმეურნეთა ნებასურვილს ანგარიში გაეწია და ახლავე მიეყიდა კოლმეურნეობებს ტექნიკა, პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად ამუშავებენ ღონისძიებებს მექანიზატორთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კადრების გამოყენების, მათი შრომის ანაზღაურების, მემინდვრეობის ბრიგადების შრომის ორგანიზაციის, საკოლმეურნეო წარმოების ტექნიკური მომსახურებისა და მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. ამ საქმეში ემყარებიან კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მიერ გამოთქმულ აზრებს, შენიშვნებსა და წინადადებებს, რომელთა განზოგადების შემდეგ აზუსტებენ მათ და უფარდებენ ადგილობრივ კონკრეტულ პირობებს.

7 მარტს არხილოსკალოს, გამარჯვების და წითელწყაროს პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობები მტს-ებიდან მიიღებენ შეძენილ ტრაქტორებს და მანქანა-იარაღებს.

გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს

საგარეჯო. (საკ. კორ.). გუშინ სართიჭალის მტს-ში საზეიმო ვითარებაში მოხდა შესყიდული ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გადაცემა კოლმეურნეობებისათვის.

სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ 20 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 15 კომბაინი და მისაბმელი იარაღ-მანქანები შეისყიდა. კოლმეურნეობის საერთო კრებამ გადაწყვიტა წელს განუყოფელი ფონდიდან მთლიანად დაფაროს შეძენილი მანქანა-იარაღების საფასური, რომელიც 1 მილიონ მანეთს აღემატება.

სართიჭალის მტს-ის დირექტორმა შ. კახაიამ ტრაქტორებისა და კომბაინების გადაცემის დროს განაცხადა, რომ მექანიზატორები, რომლებიც ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებით სამუშაოდ კოლმეურნეობებში გადადიან, გათავისებული ენერგიით იშრომებენ უფრო მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

—ახლა როცა ჩვენი კოლმეურნეობა სრულყოფილი ტექნიკით აღიჭურვა, — თქვა სართიჭალის XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. დემეტრაძემ, — აგროტექნიკის ზუსტად დაცვით დროულად ჩავატარებთ საგაზაფხულო სამუშაოებს, ენერგიის დაუზოგავად ვიბრძოლებთ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის, მოვიყვანთ უხვ მოსავალს, რომ ჩვენი ხალხი, სამშობლო უფრო მდიდარი იყოს.

— წელს კოლმეურნეობის განუყოფელი ფონდი,—თქვა კოლმეურნეობის ბუღჰალტერმა მ. ყოზიაშვილმა, — 1,5 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ამ თანხით, გარდა იმისა, რომ შევისყიდეთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, ავაშენებთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, პირუტყვის სადგომებს და სხვ.

მტს-ის მუშაკებმა გულთბილი გაცილება მოუწყეს იმ მექანიზატორებს, რომლებიც სამუშაოდ გადავიდნენ კოლმეურნეობაში.

დეპეშა

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს
გ-ნ რენე კოტის
პარიზი, ელისეს სასახლე

ბატონო პრეზიდენტო,

პირადად მე და საბჭოთა მთავრობას მოგვდის მრავალი მიმართვა საბჭოთა კავშირის ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისაგან, აგრეთვე საზღვარგარეთიდან, რომლებიც შეიცავენ თხოვნას ხელი შევუწყოთ სიკვდილმისჯილი ალჟირელი სტუდენტის ჯამილა ბუხირედისათვის სიცოცხლის შენარჩუნებას.

ამ მიმართვებთან დაკავშირებით და, ვხელმძღვანელობ რა მხოლოდ ჰუმანურობის მოსაზრებებით, მე მსურს, ბატონო პრეზიდენტო, არაფორმალური წესით გაცნობოთ ეს და გამოვთქვა იმედი, რომ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ მიიღოთ ღონისძიებანი ჯამილა ბუხირედისათვის სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

გულწრფელი პატივისცემით

კ. ვოროშილოვი

მოსკოვი, კრემლი. 1958 წლის 6 მარტი.

იტალიიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

5 მარტს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პოსპელოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ბ. ნ. პონომარიოვი და ა. პ. რუმიანცევი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კომუნისტური პარტიის კიევის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ს. სინიცა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქალაქ მოსკოვის ძერჟინსკის რაიკომის მდივანი ა. ნ. ნიკიფოროვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი დ. პ. შევლიაგინი და დელეგაციის მდივანი ა. ა. დიაკოვი.

დელეგაცია იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით იტალიაში იმყოფებოდა სამ კვირას და ეცნობოდა იტალიის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების ცხოვრებასა და მუშაობის გამოცდილებას.

მოკლე ცნობები

◉ საბჭოთა ქალების კომიტეტი ყველა საბჭოთა ქალის სახელით მტკიცე პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის ხელისუფლებს განზრახული აქვთ სისრულეში მოიყვანონ სიკვდილით დასჯის განაჩენი, რომელიც ახალგაზრდა ალჟირელ პატრიოტს ჯამილა ბუხირედს გამოუტანეს, და მოითხოვს დაუყოვნებლივ გადაიჭრას ალჟირის საკითხი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით

◉ მიმდინარე წლის მარტში მთავრდება ანგარიშსწორება ხელისმომწერლებთან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე (1957 წლის გამოშვება), რომელიც გასულ წელს გავრცელებულ იქნა ხელმოწერით. ამ სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი გაიმართება 1958 წლის 29 ივნისს მოსკოვში.

◉ ამას წინათ გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის VIII პლენუმის შედეგები და საქართველოს საზოგადოების ამოცანები. პლენუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების III ყრილობის მოწვევის შესახებ 1958 წლის 20-21 ივნისს. პლენუმმა დაკმაყოფილა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის თხოვნა მისი ამ თანამდებობისაგან განთავისუფლების შესახებ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბოჟორიშვილი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია თბილისში

6 მარტს საქართველოს დედაქალაქში თვითმფრინავით „ტუ-104“ ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც ბუქარესტიდან მეგობრული ვიზიტით მიემგზავრება აზიის ქვეყნებში. დელეგაციის შემადგენლობაშია: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ბოდნარაში და საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუნაჩიუ.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროპორტში რუმინელი სტუმრების შესახვედრად მოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები გ. ი. ჩოგოვაძე, ო. დ. გოცირიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. ინაური, საქართველოს სსრ მინისტრები დ. ი. ჩხიკვიშვილი და ვ. ნ. ჯანჯღავა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. ა. პაატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. მიქელაძე, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

ურთიერთ გულთბილი მისალმების შემდეგ სტუმრები ავტომანქანებით გაემგზავრნენ ქალაქში. მათ ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

იმავე დღეს რუმინეთის მთავრობის დელეგაციამ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კივუ სტოიკას მეთაურობით შემდგომ განაგრძო გზა და ტაშკენტში გაემგზავრა. იგი ეწვევა ინდოეთის რესპუბლიკას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ბირმის კავშირს, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას ამ ქვეყნების პრემიერ-მინისტრებისა და მთავრობების მიწვევით. (საქდესი).

* * *

შეხვედრა თბილისის აეროდრომზე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისა, რომელიც მეგობრობის ვიზიტით მიემგზავრება აზიის ქვეყნებში.

ს ურ ა თ ზ ე: (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ი. ჩოგოვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, კივუ სტოიკა, ე. ბოდნარაში, ა. ე. მელაძე, ა. ბუნაჩიუ.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების ახალი მკაფიო დადასტურებაა

★ ★ ★

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიადი პროგრამა

მ. საბაშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ ნათელი დადასტურებაა იმ დიდი მზრუნველობისა, რომელსაც მშობლიური პარტია იჩენს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმისადმი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში მოცემულია სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების ღრმა ანალიზი, დასახულია გზები სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისა. როგორც ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებშია აღნიშნული, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვენი კოლმეურნეობები, რომლებიც იძლევიან საერთო და სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს.

ამასთან დაკავშირებით სავსებით დროულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობამ თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში და ხელი შეუწყო სოფელში ღრმა კულტურულ რევოლუციას.

მაგრამ ამჟამად, როდესაც კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს აქვს უკვე მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის უნარიანად გაძღოლის დიდი გამოცდილება, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ფაქტიურად დაკარგეს საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორის როლი.

კოლმეურნეობებისათვის საჭირო რთული ტექნიკა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელშია და კოლმეურნეობებს ყოველთვის როდი აქვთ საშუალება გამოიყენონ იგი თავიანთი საჭიროებისა და სურვილის მიხედვით. ერთსა და იმავე მიწაზე ორი პატრონის — კოლმეურნეობისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის — არსებობა ხშირად დამაბრკოლებელი ფაქტორია იმ დიდი საორგანიზაციო ინიციატივისა, რომლის გამოჩენა შეუძლია დიდი სათესი ფართობის მქონე და საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კარგი კადრებით უზრუნველყოფილ მრავალმსხვილ კოლმეურნეობას.

ეჭვს გარეშეა, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია შექმნის პირობებს კოლმეურნეობებში ტექნიკის უფრო რაციონალურად გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, მათი თვითღირებულების შემცირებისათვის.

უდავოა, რომ ამ უაღრესად დიდი ღონისძიების განხორციელება მოითხოვს ფრთხილ, დიფერენცირებულ მიდგომას ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების თავისებურებათა და თვით კოლმეურნეობების ეკონომიურ შესაძლებლობათა მიხედვით. ამიტომ სავსებით სწორია, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია უნდა მოხდეს თანდათანობით. მაგალითად, საქართველოში, რომელსაც ახასიათებს ბუნებრივი პირობების დიდი სხვადასხვაობა და სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნება, მთელი რიგი რაიონებია მსხვილი და მძლავრი კოლმეურნეობებით. ასეთებია: წითელწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, მარნეულის, გორის და სხვა რაიონები, სადაც კოლმეურნეობები დიდ შემოსავალს იღებენ და ამის შესაბამისად ყველა პირობა აქვთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა საჭირო მანქანების შესაძენად. მსხვილი კოლმეურნეობებია აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონის ზოგიერთ რაიონში.

მაგრამ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შევიძინოთ მექანიზმები, საჭიროა საქმე ისე დავაყენოთ, რომ ეს მექანიზმები რაციონალურად იქნას გამოყენებული და უფრო სრული იყოს მათი გამოყენების კოეფიციენტი. ამისათვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს ამ ზონის მომსახურე სარემონტო-ტექნიკური სადგურების მიერ კოლმეურნეობათა მანქანა-იარაღების საჭირო რემონტი, რემონტის მაღალი ხარისხი და ამის შესაბამისად ამ სადგურების მომარაგება სათადარიგო ნაწილებით და საჭირო სარემონტო მასალით.

მაგრამ საქართველოს დიდი ნაწილი მთიან მხარეს წარმოადგენს და ამიტომ აქ არიან კოლმეურნეობები ძალიან მცირე საერთო და სათესი ფართობით. ეს ფართობები 200-300 და ზოგჯერ 100 ჰექტარსაც არ აღემატება. ამ რაიონებში პირველი რიგის ამოცანას ჯერ კიდევ შეადგენს თვით მეურნეობის სისტემის წარმოების დაზუსტება და მთის პირობებისათვის შესაფერისი მანქანა-იარაღების შექმნა. ამიტომ ყველა ამ რაიონში ჯერ კიდევ აუცილებელია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შენარჩუნება, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან ამ რაიონების პირობებისათვის შესაბამისი მანქანა-იარაღებით. ამ შემთხვევაში სავსებით სწორია დაუყენება საკითხისა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ. ეს გამსხვილებული მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მომსახურებას გაუწევენ ერთ ზონაში გაერთიანებულ და შხგავსი პირობების მქონე კოლმეურნეობებს.

ცალკეულ შემთხვევებში, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება ერთ ზონაში მყოფი ჯერ კიდევ სუსტი რამდენიმე კოლმეურნეობის მიერ საერთო ძალებით, ამხანაგობის პრინციპზე საჭირო ტექნიკის შეძენა და სათანადო კალენდარული გეგმის საფუძველზე ამ კოლმეურნეობების მიერ ტექნიკის რაციონალური გამოყენება.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში, იმერეთის, კახეთისა და სხვა რაიონებში დიდი და ხშირად წამყვანი როლი აქვს მრავალწლიან კულტურებს — ჩაის, ვენახს, ხეხილს და სხვა, რომლებსაც, მარცვლეულ კულტურებთან ერთად, დიდი ფართობები უჭირავთ. კულტურების ეს მრავალფეროვნება ხშირად ზღუდავს კოლმეურნეობათა გამსხვილების შესაძლებლობას, მაგრამ საჭიროდ ხდის კომპლექსური მექანიზაციის გატარებას სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ამიტომ აუცილებელია ამ კოლმეურნეობებისა და მათი მომსახურე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების უზრუნველყოფა საჭირო მანქანა-იარაღებით.

ცალკეული რაიონებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის ღრმად შესწავლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად და თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა საჭირო მონაცემებს მოგვცემენ ამ დიდი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების სწორად განხორციელებისათვის.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ გავლენა არ უნდა მოახდინოს მომდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ყველა სამუშაოს უფრო წარმატებით ჩატარებას და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღებას.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები და მათ შორის სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკები დიდი მოწონებით ხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ჩვენი მეცნიერების ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ დიდი ღონისძიების განხორციელებაში, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის საქმეში.

★

მეომრები ერთსულოვნად იწონებენ

საბჭოთა არმიის მეომრები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ამ დღეებში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ნაწილებში დიდი ინტერესით ეცნობიან ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებს.

დადგენილების გაცნობის შემდეგ № ნაწილის რიგითმა მებრძოლმა ს. ოგრატიშვილმა განაცხადა:

— კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ახალი ღონისძიება საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია. იგი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებას, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

— ჩვენი ნაწილის მრავალი მებრძოლი სამხედრო სამსახურში გაწვევამდე საბჭოთა მეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და კოლმეურნეობებში მუშაობდა, — თქვა რიგითმა მებრძოლმა ა. მირზაშვილმა, — მათი უმრავლესობა სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდება საკოლმეურნე მინდვრებს, ტრაქტორებს. ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობაში.

ნაწილის მებრძოლებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები და განაცხადეს, რომ მეტი მონდომებით შეისწავლიან სამხედრო საქმეს, ამით კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებას.

ბათუმის რაიონის სოფელ ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. სურმანიძე კოლმეურნეებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიება

სტალინირი. (საკ. კორ.). მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საკოლმეურნეო სოფელში უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ და ამ საკითხზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს აგიტატორები აცნობენ კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს.

ქსუისის მტს-ის მექანიზატორებს დადგენილების ტექსტი და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები გააცნო მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანმა კ. გაბარაევმა. სიტყვას იღებს მტს-ის მთავარი მექანიკოსი მ. ხანიკაევი.

— მართლაც რომ დროული და მოსაწონი ღონისძიებაა. კოლმეურნეობები ეკონომიურად განმტკიცდნენ, მათ შესაძლებლობა აქვთ ახლავე შეიძინონ მსხვილი იარაღ-მანქანები და არა მარტო შეიძინონ, არამედ კიდევაც უფრო რაციონალურად, მოფიქრებულად გამოიყენონ ისინი წარმოებაში. მივესალმები ამ ღონისძიებას და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ხელი შევუწყო საკოლმეურნეო დოვლათის გამრავლებას.

დადგენილებამ და მოხსენების თეზისებმა მოწონება ჰპოვა საკოლმეურნეო სოფლებშიც. ბევრგან უკვე შეუდგნენ იმის განგარიშს, თუ რა იარაღ-მანქანები უნდა შეიძინონ კოლმეურნეობებმა მტს-ებისაგან.

სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ იასონ ქრისტესიაშვილმა განაცხადა:

— ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ დავგეგმადა მანქანების შეძენის აზრი, როცა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი აზრი გამოთქვა ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე. გადაწყვეტილი გვაქვს წელს შევიძინოთ სამი ტრაქტორი, ერთი კომბაინი „სტალინეც-6“, რამდენიმე სათესი, სათიბი, გუთანი და სხვა მანქანები.

ამ დოკუმენტების გაცნობისას დიდი მსჯელობა იმართება იმ ამოცანებზე, რომლებიც უნდა შეასრულონ მტს-ების ბაზაზე დარჩენილმა სარემონტო-მექანიკურმა სახელოსნოებმა. არის აზრი, რომ ზოგან, განსაკუთრებით მთის ზონაში, ჯერ კიდევ საჭირო იქნება მტს-ების არსებობა.

პარტიის მუდმივი ზრუნვის მკაფიო გამოხატულება

ჩვენი რაიონის მშრომელები დიდი უყურადღებით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ეს დადგენილება ახალი, წინგადადგმული ისტორიული ნაბიჯია. კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემა მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ძირითადია ტრაქტორი, რომლის შეძენა თითქმის ყველა კოლმეურნეობას შეუძლია. რა თქმა უნდა, ხვნა-თესვისათვის საჭირო მექანიზმებისა და მანქანების შეძენა რელიეფზეც არის დამოკიდებული. ჩვენი აზრით მთავარია ერთი: მრეწველობის მუშაკებმა უნდა დაგეგმონ მსუბუქი, მცირე ზომის ტრაქტორების გამოშვება საკიდი მექანიზმებით. ჯერ ერთი — მათი ფასი ნაკლებია, მეორე—დასავლეთ საქართველოს და სხვა მიკრომასივებსა და მთაგორაკიან ადგილებში ისინი უკეთ იმუშავებენ.

ჭითაწყაროელი კოლმეურნეები ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ პლენუმის დადგენილებას. მთლიანად დამთავრებულია 107 ჰექტარი ჩაის გამობარვა სასუქის შეტანით, მოხნულია 70 ჰექტარი. წელს გადაწყვეტილი გვაქვს მოვკრიფოთ 310 ტონა ჩაი, საშუალოდ ერთ ძოროაზე მივიღოთ 1.200 კილოგრამი რძე, ჰექტარზე მოვიყვანოთ 20 ცენტნერი სიმინდი. ჩვენი რაიონი ეჯიბრება მახარაძის რაიონს. პირობას ვიძლევით ნაკისრ ვალდებულებებს გადამეტებით შევასრულებთ.

ჯ. ბელქანია,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ლენინური სამშვიდოგო პოლიტიკის გამარჯვება

ა. ირემაძე,
ი. ხუციშვილი.

1918 წლის 6 მარტს პეტროგრადში მუშაობას შეუდგა ბოლშევიკური პარტიის VII ყრილობა. იგი პირველი ყრილობა იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. საყურადღებოა, რომ პირველივე ყრილობა ზავის, შშვიდობის საკითხს მიეძღვნა. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტური ომიდან გამოსვლის შესახებ და დასაბამი მისცა სოციალისტური მშენებლობის დაწყებას ჩვენს ქვეყანაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელი ძალით აჩაღებენ მშვიდობისათვის, სამართლიანი, დემოკრატიული ზავისათვის ბრძოლას. მაგრამ მალე სავსებით აშკარა გახდა, რომ იმ კონკრეტულ საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში სამართლიანი, დემოკრატიული ზავი საბჭოთა რესპუბლიკისათვის შეუძლებელი იყო.

ვ. ი. ლენინსა და ლენინელებს მიაჩნდათ, რომ იმ დროს, როცა რუსეთში გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ ილაშქრებდა შინაური და გარეშე კონტრრევოლუცია, გერმანიის თავით ფეხთამდე შეიარაღებული ჯარი, ხოლო ახლადშობილ საბჭოთა სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ჰყავდა არმია, საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენა შეეძლო შესვენებას, ზავს, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი. ეს ერთადერთი სწორი ლენინური ტაქტიკური ხაზი ემყარებოდა პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრების, გლეხობასთან მუშათა [illegible] და სოციალიზმის მშენებლობის აუცილებელ პირობებს.

პარტიის VII ყრილობის მოწვევისათვის მზადების პერიოდში პარტიის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ომისა და ზავის საკითხებზე. ტროცკისტები და „მემარცხენე კომუნისტები“ ლენინისა და ლენინელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ხელს უშლიდნენ ცენტრალურ კომიტეტში ზავის დაუყოვნებლივ მიღების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანას. ხოლო მას შემდეგ, რაც ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ტროცკიმ გამცემლურად ჩაშალა მისი პრაქტიკული განხორციელება. მან 1918 წლის 28 იანვარს ბრესტში, სადაც იგი საბჭოთა საზავო დელეგაციას მეთაურობდა, უარი თქვა ხელი მოეწერა გერმანიასთან ზავზე. ამასთან თვითნებურად, სახკომსაბჭოს სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს ანექსიური ზავის დადებაზე და თავის მხრივ გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან, თურქეთთან და ბულგარეთთან ომის მდგომარეობას შეწყვეტილად აცხადებს და ახდენს მთელ ფრონტზე ჯარების სრულ დემობილიზაციას. ტროცკის თანამოაზრეები და „მემარცხენე კომუნისტები“ ყოველმხრივ შეეცადნენ ხოტბა შეესხათ ტროცკის აშკარა გამცემლობისათვის.

ბოლშევიკურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით შეძლო ტროცკისტებისა და „მემარ[illegible] [illegible] [illegible] [

1958 წლის სამშენებლო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის

მშენებელთა თათბირი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში

ამას წინათ გაიმართა მშენებელთა თათბირი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია. თათბირში მონაწილეობდნენ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და შემკვეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა კაპიტალური მშენებლობის 1957 წლის გეგმის შესრულების შედეგები და რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ამოცანები 1958 წლისათვის. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ლაბახუამ. მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოში სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ახალ აღმავლობაზე, აღნიშნა მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობა და ცალკე შეეხო მშენებლობის ზოგიერთი უბნის ჩამორჩენის მიზეზებს.

მოხსენებაში და თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში გაკრიტიკებულ იქნა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და მისი ტრესტების, მთავართბილისმშენის, ამიერკავკასიის მეტალურგმშენისა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. მიუხედავად სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის საქმეში მიღწეული პირველი წარმატებებისა, თბილისის, ქუთაისის, ჭიათურის და საქართველოს სხვა ქალაქების ბევრ მშენებლობაზე ჯერ კიდევ ადგილი აქვს კუსტარულობას, საკმაოდ არ იყენებენ მექანიზმებს, არ ნერგავენ შრომის მოწინავე მეთოდებს.

თათბირის მონაწილეებმა სერიოზული მოთხოვნები წარუდგინეს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და მის საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს, რომლებიც საკმარისად არ იბრძვიან საკედლე და სასახურავე მასალების მაღალი ხარისხისათვის.

თათბირზე გამოვიდნენ მთავართბილისმშენის უფროსი გ. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ს. ლორთქიფანიძე, საქშახტმშენის ტრესტის მმართველი შ. გარდაფხაძე, საქმრეწვმშენმონტაჟის ტრესტის მმართველი ვ. რუხაძე, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მთავარი ინჟინერი ლ. ვაინერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი კ. ზავრიევი, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს უფროსი გ. ხომერიკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ეპიტაშვილი და სხვები.

შეაჯამა რა თათბირის შედეგები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ქადაგიძემ აღნიშნა რესპუბლიკის მშენებლების შარშანდელი წარმატებანი. ამასთან ერთად 1957 წლის შედეგები მოწმობენ, რომ მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. მათგან მთავარია მშენებლობის დაუმთავრებელი ობიექტების სიმრავლე, ჩამორჩენა საბინაო მშენებლობის დარგში, სამშენებლო საქმის დაბალი კულტურა მთელ რიგ ჩამორჩენილ სამშენებლო ორგანიზაციებში, რომელთა შორის არიან ტრესტები № 3, № 6, სპეციალიზებული ტრესტი № 8, მთავართბილისმშენი და სხვები. თვითეულ ამ ჩამორჩენილ ორგანიზაციაში ახლა გულდასმით განხილულ უნდა იქნას გარდაქმნის შემდეგ გაწეული მუშაობის შედეგები და მიღებულ იქნას ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის შესაბამისი ღონისძიებანი. სამშენებლო ორგანიზაციებმა მთელი ყურადღება უნდა მიაყრონ 1958 წლის პირველი კვარტალის საგეგმო დავალებათა წარმატებით დამთავრებას. უნდა მივაღწიოთ გეგმების რიტმულად შესრულებას წლის პირველი თვეებიდანვე, ბოლო მოვუღოთ იერიშობანას, რომელიც წინათ არსებობდა.

ამხ. ქადაგიძე შეეხო აგრეთვე მშენებლობის საწარმოო-ტექნიკური ბაზის განვითარების, საშენი მასალების წარმოების გაფართოებისა და მათი ხარისხის ამაღლების, სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის პრაქტიკაში ინდუსტრიული მეთოდების შემდგომი დანერგვის საკითხებს.

კავშირგაბმულობა სახალხო მეურნეობის სამსახურში

კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგთა გამართული მუშაობის უზრუნველყოფის, მართვის მოქნილობისა და ხელმძღვანელობის ოპერატიულობის აუცილებელი პირობაა კავშირგაბმულობის მოწესრიგება, მისი ცალკე რგოლების — ფოსტის, ტელეგრაფის, სატელეფონო ქსელის, რადიოქსელის მუშაობის მაღალ დონეზე დაყენება.

ის დიდი წარმატებები, რაც მოპოვებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, მნიშვნელოვანწილად აიხსნება კავშირგაბმულობის მუშაკთა თავდადებული მუშაობითაც. ამ წარმატებებში ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკებსაც. ეს ვრცლად იყო აღნიშნული საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის ამხ. გ. ქრისტესაშვილის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა კავშირგაბმულობის მუშაკთა რესპუბლიკური სამეურნეო აქტივის კრებაზე.

მაგრამ ამასთან კიდევ უფრო ვრცლად იყო აღნიშნული ის ნაკლოვანებები, რაც ჯერ კიდევ ახასიათებს კავშირგაბმულობის ცალკე რგოლების მუშაობას. მაგალითად, არის შემთხვევები და არც ისე იშვიათი, როდესაც საფოსტო გზავნილების ჩაბარება ადრესატისათვის დიდი დაგვიანებით ხდება, ზოგჯერ ეს გზავნილები იკარგება, გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც ხელმომწერლებს დროით უნდა ჩაბარდეს, ზოგ საფოსტო განყოფილებაში თვეობით აწყვია და მაკულატურაში მიდის. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ონის, ახმეტის, თელავის და წითელწყაროს კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები.

ბევრგან, მაგალითად, გურჯაანში და სამტრედიაში, დეპეშების გადაცემაზე ისეთი მუშაკები მუშაობენ, რომლებმაც არ იციან ქართული ენა. ამის გამო იშვიათი როდია დეპეშების წუნი, შინაარსის დამახინჯება.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები სატელეფონო ქსელის მუშაობის გასაუმჯობესებლად. სატელეფონო ქსელის გაუმართავი მუშაობა საგრძნობია არა მარტო რესპუბლიკის დიდ ქალაქებში, არამედ სამრეწველო ცენტრებშიც და სოფლად.

ყოველივე ამასთან აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში არიან კავშირგაბმულობის სანიმუშოდ მომუშავე რაიონული კანტორები (მაგალითად, გორის, გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, მახარაძის, ქუთაისის, წალენჯიხის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორები) მრავლად გვყვანან მოწინავე ტელეგრაფისტები, ტელეფონისტები, კეთილსინდისიერი დამტარებლები, ისეთები, როგორიც არიან ქუთაისელი ტელეგრაფისტი მზია ხელაია, ბათუმელი დამტარებელი ლეონიდ ავდეიკოვი, ხაშურელი ფოსტალიონი გიორგი პილიევი და სხვები, მაგრამ მათი გამოცდილების განზოგადება არ ხდება, რაც კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობითაც აიხსნება.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ ვ. ქინქლაძე (გორი), კ. კუჭავა (აფხაზეთი), ვ. კოხია (ზუგდიდი), თ. ღოხნაძე (ტყიბული), ე. თოფურია (თბილისი), პ. გაბიძაშვილი (აჭარა), თიბილოვი (სტალინირი), ვ. გაგოშიძე (ქუთაისი), ო. ღამბაშიძე (თბილისი) და სხვ.

თათბირმა დასახა ღონისძიებები

ხალხის კანდიდატები

მქსოველი ცაცა ქურციკიძე

ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭვიშიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა გოგონამ ცაცა ქურციკიძემ მორიდებულად შეაღო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორის კაბინეტის კარი. როგორც დირექტორთან საუბარში გამოირკვა, მას მტკიცედ გადაეწყვიტა დაუფლებოდა მქსოველის პროფესიას. ამ გადაწყვეტილებამ ჩამოიყვანა იგი დედაქალაქში.

ეს იყო 1934 წელს.

ფაბრიკის კოლექტივმა გულთბილად მიიღო იგი. მქსოველის პროფესიის შესასწავლად მიამაგრეს დახელოვნებულ მოწინავე მქსოველს სიდო სინჯარაძეს, რომელმაც სოფლიდან ჩამოსულ, ქალაქის ცხოვრებას მიუჩვეველ გოგონას ნამდვილი მშობლიური მზრუნველობა გაუწია.

ცაცას პირველ დღეებში თითქოს გაუჭირდა შესჩვეოდა ფაბრიკის ცხოვრებას, მაგრამ როცა ახლოს გაეცნო თანატოლ მქსოველ გოგონებს და დაამყარა მათთან მეგობრული ურთიერთობა, — აქტიურად ჩაება ფაბრიკის ყოველდღიურ საქმიანობაში. იგი მალე შეეთვისა ახალ, მჩქეფარე მუშურ ცხოვრებას.

პროფესიის დაუფლებისათვის მთავარია გულისყური და იმ საქმის სიყვარული, რის შესწავლასაც განიზრახავ. მქსოველის პროფესიის დაუფლება ადვილი საქმე როდია, მით უმეტეს იმ ადამიანისათვის, რომელსაც თვალით არ უნახავს არც ფაბრიკა, არც ქარხანა და მათ შესახებ მხოლოდ წიგნებში თუ ამოუკითხავს. აი სწორედ აქ იჩინა თავი ცაცა ქურციკიძის დაინტერესებამ და მქსოველის პროფესიის დაუფლების ძლიერმა სურვილმა. ერთი თვის შემდეგ მას უკვე თავისუფლად შეეძლო საქსოვ დაზგაზე დამოუკიდებლად მუშაობა.

ახალგაზრდა მქსოველს პირველ ხანებში ორი საქსოვი დაზგა ჩაბარეს, შემდეგ კი ოთხი. ახე დაიწყო ცაცა ქურციკიძის ახალი, დამოუკიდებელი, საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება.

— მალე მეც გამასწრებს მუშაობაში, — ბჭირად იტყოდა ხოლმე ცაცა ქურციკიძის შესახებ სიდო სინჯარაძე.

საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით ცაცამ მალე მიიპყრო ფაბრიკის მთელი კოლექტივის უურადღება. იგი ყველასათვის მახლობელი და საყვარელი ადამიანი გახდა.

ფაბრიკაში მუშაობის მთელ მანძილზე ცაცა ქურციკიძემ ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით 21.744 მეტრამდე აბრეშუმის ქსოვილი მისცა. მარტო 1957 წელს 1.295 მეტრი მოქსოვა გეგმის ზევით, ხოლო მიმდინარე წლის იანვარში — 151 მეტრი.

შრომაში მოპოვებული საწარმოო გამარჯვებების ამსახველი ციფრები როდია საკმარისი, რომ შევაფასოთ ცაცა ქურციკიძის, როგორც საუკეთესო მქსოველის, ღვაწლი. მისი მნიშვნელოვანი დამსახურება ისიც არის, რომ იგი ყოველთვის ახლის ძიებაშია, ცდილობს ყოველდღიურად აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და მცირე დროის დახარჯვით სულ უფრო მეტი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილი გამოუშვას.

ვინც კი ახლოს იცნობს ქსოვის საწარმოო პროცესებს, იცის, რომ საქსოვი დაზგის მუშაობა წუთობით და წამობით იზომება. საქსოვი დაზგის ყოველდღიურად რამდენიმე წუთით ან წამით შეფერხება ნიშნავს — რამდენიმე ათეული და ასეული მეტრი ქსოვილი დაკლო წარმოებას. საქსოვ საამქროში ტექნიკური პროცესების მოუგვარებლობა იწვევდა დაზგების გაცდენას. საქმე იმაში იყო, რომ იატაკის სიძველის გამო დაზგები არ იყო მჭიდროდ დამაგრებული და მუშაობის დროს მოძრაობდა, რაც ხელს

უწყობდა ქსოვილის ხშირ გაწყვეტას. ეს კი ზრდიდა გამოშვებული პროდუქციის წუნს და იწვევდა დროის დაკარგვას.

ამხ. ქურციკიძის წინადადებით დაიგო ახალი იატაკი, დაზგები მჭიდროდ იქნა დამაგრებული, რამაც დიდად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა პროდუქციის წუნი და 31 პროცენტით გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება. მაგალითად, მიმდინარე წლის იანვარში მქსოველთა მე-9 ბრიგადაში, სადაც ცაცა ქურციკიძე მუშაობს, გამოშვებული პროდუქციიდან პირველი ხარისხისა უნდა ყოფილიყო 47,8 პროცენტი. ბრიგადამ ეს დავალება 78,2 პროცენტით შეასრულა.

საქსოვ დაზგაზე ქსოვილის გადასაჭიმად ხმარობდნენ რკინის სიმძიმეებს. როცა მქსოველს უხდებოდა ჩაწყვეტილი ქსოვილის დაშლა, იძულებული იყო 20-25 კილოგრამის წონის ეს სიმძიმეები რამდენჯერმე ხელით აეწია და დაეწია, რაც ფიზიკურად ძნელი იყო, იწვევდა დიდი დროის დაკარგვას, ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას. ამხ. ქურციკიძის წინადადებით ქსოვილის დასაჭიმად დაზგას გაუკეთდა ე. წ. შედრინის მუხრუჭი. ამ წინადადების განხორციელებამ მქსოველის შრომა კიდევ უფრო გაადვილა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. და თუ წინათ წარმოების ამ პროცესს 10 წუთი სჭირდებოდა, ახლა იგი 3 წუთში სრულდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული საქსოვი დაზგა ცვლაში ზოგავს 28 წუთს. ამ დროის მონაკვეთში მქსოველს შეუძლია მოქსოვოს 70 სანტიმეტრი ქსოვილი. თუ საამქროს 10 დაზგაზე გადავიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ ამ საწარმოო პროცესის გაუმჯობესება ერთ ცვლაში დამატებით გვაძლევს 7 მეტრ ქსოვილს, ე. ი. ყოველწლიურად რამდენიმე ათასი მეტრი ქსოვილი შესძინა წარმოებას ქურციკიძის ამ მეტად სახარგებლო და საქმიანმა წინადადებამ.

მარტო ამით როდი ამოიწურება ცაცა ქურციკიძის ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის. იგი პირადი შრომის მაგალითით ცდილობს შეამციროს ქსოვის ცალკეულ საწარმოო პროცესებზე ნორმით გათვალისწინებული დროის ყოველი წუთი, ყოველი წამი, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველწლიურად დამატებით მისცეს ქვეყანას რამდენიმე ასეული მეტრი ქსოვილი. მაქს გამოსაცვლელად დაწესებულია 5 წამი, ქურციკიძე კი ამ პროცესს 3 წამში ასრულებს, მაქს გაწყობაზე 4 წამს ზოგავს, ხოლო ქსელის ძაფის წყვეტის ლიკვიდაციის პროცესს 28 წამით ამცირებს.

რამდენიმე წელიწადს საქსოვ დაზგაზე მუშაობით ქურციკიძემ დიდი გამოცდილება შეიძინა, ამ გამოცდილებას უზიარებს ყველას, ვინც კი მქსოველის პროფესიის შესწავლით დაინტერესებულა. არა ერთი და ორი მქსოველი აღზრდია. ბევრი მისი აღზრდილი ახლა ფაბრიკის მოწინავე მქსოველთა რიგებში დგას. მქსოველებს თ. მორბელაძეს, რ. ნოზაძეს და გ. ჟორჟოლაძეს მუშაობა უჭირდათ, ქსოვის ტექნიკას დაუფლებული ვერ იყვნენ, საწარმოო დავალებებს ვერ ასრულებდნენ, რაც გავლენას ახდენდა ბრიგადის საწარმოო მაჩვენებელზე. საამქროს ქვეოსტატ ს. ფაჩუაშვილთან შეთანხმებით, ცაცამ თვითონ იკისრა დახმარებოდა მათ ტექნოლოგიური პროცესების შესწავლაში, სისტემატურად იმყოფებოდა მათთან, ასწავლიდა, უზიარებდა თავის გამოცდილებას, ამან ბრწყინვალე შედეგი გამოიღო, ახლა ისინი მოწინავე მქსოველები არიან და ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებენ.

ცაცა ქურციკიძეს ფაბრიკის კოლექტივი იცნობს როგორც აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს. შვიდი წელია საკავშირო უდგას მქსოველთა მე-9 ბრიგადის პროფჯგუფს, სისტემატურად მართავს ბრიგადის საწარმოო თათბირებს, სადაც განიხილავენ წარმოების საკითხებს.

აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის, როგორც საუკეთესო მქსოველი და მოწინავე პროფჯგუფორგი, სსრ კავშირის პროფესიული კავშირების არსებობის 50-ე წლისთავზე ცაცა ქურციკიძე დაჯილდოებულ იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით.

თვალს ვავლებთ ცაცა ქურციკიძის ცხოვრების გზას. ჩვენს თვალწინ დგას ახალი საბჭოთა ადამიანი, რომლის პირადი ცხოვრება, ფიქრები და აზრები მტკიცედ არის შედუღებული კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებთან.

ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული მწყემსი გოგონა, ახლა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გამოჩენილი მქსოველი, ლენინის ორდენოსანი ცაცა ქურციკიძე გვერდში უდგას ფაბრიკის კოლექტივს და მასთან ერთად მონდომებით იბრძვის 1958 წლის საწარმოო გეგმის შესრულებისათვის, ფაბრიკის სახელისა და ღირსებისათვის.

ცაცა ქურციკიძის თავდადებული შრომა, მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა ღირსეულად იქნა დაფასებული. ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ცაცა ქურციკიძის კანდიდატურა.

სიხარულს განიცდის ფაბრიკის მთელი კოლექტივი, რომელმაც აღზარდა ცაცა ქურციკიძე, არანაკლებ სიხარულს განიცდიან მისი თანასოფლელები.

ემზადება რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების ღირსეულად შეხვედრისათვის, ფაბრიკის მთელი კოლექტივი შრომითს ვახტზე დადგა. ფაბრიკამ თებერვალში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 107,7 პროცენტით შეასრულა, ხოლო დეპუტატობის კანდიდატმა ცაცა ქურციკიძემ თებერვალში სამშობლოს გეგმის ზევით ასობით მეტრი ქსოვილი მისცა.

— ის დიდი ნდობა, რომელიც მე, მქსოველ მუშას, გამომიცხადა ფაბრიკის კოლექტივმა, მავალებს ვიმუშაო დაუღალავად, უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილები მივცე საბჭოთა ადამიანებს, — განაცხადა დეპუტატობის კანდიდატმა.

16 მარტს ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას უპარტიო მოწინავე მქსოველს.

ი. ბეჭაშვილი.

საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის წინ

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ამსახველი ექსპოზიცია



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ შეარჩია რუსეთისა და საქართველოს ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია გამოფენისათვის, რომელიც გაიხსნება მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში.

გამოფენისათვის შერჩეულია რუსეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის მასალები XVI-XVII საუკუნეებიდან დღემდე. ისტორიულ დოკუმენტებს შორის ყურადღებას იპყრობს გეორგიევსკის ტრაქტატი — რუსეთის მფარველობაში საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფო) შესვლის შესახებ—ორმხრივ ვალდებულებათა ხელშეკრულება.

„ვეფხისტყაოსანი"

მოსკოვში მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომლის თარგმანი შესრულებულია ცნობილი რუსი მთარგმნელის ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ. წიგნს დართული აქვს ლექსიკონი და შენიშვნები.

თარგმანის რედაქტორია სიმონ ჩიქოვანი. ილუსტრაციები ეკუთვნის მხატვარ სერგო ქობულაძეს. წიგნი გაფორმებულია მხატვარ ე. რაკუზინის მიერ. ტირაჟი — 10.000, ფასი 10 მან.



პორტრეტი ლევან კახთა მეფისა (1520-1574 წ. წ.), რომელმაც კავშირი დაამყარა რუსეთის მეფე ივანე მრისხანესთან. ექსპოზიციაში შესულია ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები.

რუსეთში ქართველ მოღვაწეთა მასალებიდან აღსანიშნავია პეტრე I-ის თანამედროვის არჩილ მეფის შვილის, რუსეთის არტილერიის რეფორმატორის ალექსანდრე ბატონიშვილის ნახაზები არტილერიის დარგში.

გამოფენისათვის შერჩეულ უნიკალურ ძეგლებს შორის ყურადღებას იპყრობს ალავერდის წმიდა გიორგის ხატი, რომელიც შესრულებულია 1677 წელს რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის-ძის სამეფო კარის მხატვრის სიმონ უშაკოვის მიერ საქართველოს მეფის ერეკლე I-ის დედის ელენე დედოფლის დაკვეთით.

საქართველოსა და რუსეთის ჯარები ერთად იბრძოდნენ თურქეთის წინააღმდეგ საქართველოს პროვინციების გასათავისუფლებლად. ამ ბრძოლებს ასახავს ექსპოზიციაში შესული მხატვრული სურათები — ფ. რუბოს „სომაგრე ყარსის აღება" და ი. აივაზოვსკის დიდი ტილო „ოსმალთა ფლოტის ტყვედ ჩავარდნა", რომელიც ასახავს რუსეთის მეზღვაურთა მიერ ქართველი და კავკასიელ ტყვეების განთავისუფლებას.

გამოფენისათვის შერჩეულია კ. მახარაძის — „სუვოროვი და ბაგრატიონი ალპებში", თ. სამსონაძის — „ქართველები პეტრე დიდთან", მონუმენტური ქანდაკებები მ. მერაბიშვილისა — „გრიბოედოვი", გ. კორძახიასი — „მაიაკოვსკი".

საინტერესო მასალებია შერჩეული თეატრალურ მოღვაწეთა კულტურული ურთიერთობიდან. მათ შორის ყურადღებას იპყრობს მასალები ერეკლე II-ის სამეფო კარის თეატრისა, მისი ხელმძღვანელის გიორგი ავალიშვილის პორტრეტი, შესრულებული უჩა ხიობებისა, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობდნენ, კერძოდ სილა სანდუნოვის (ზანდუკელის) პორტრეტი. ექსპოზიციაში შესულია რუსეთის იმ მსახიობთა ფოტოსურათები, რომლებიც თბილისში მოღვაწეობდნენ, გასტროლებზე ჩამოდიოდნენ საქართველოში, აგრეთვე რუსეთში გამართული ქართული საღამოების პროგრამები და აფიშები.

გამოფენისათვის შერჩეულია რუსეთის იმ გამოჩენილ მოღვაწეთა ფოტოსურათები, რომლებიც საქართველოში იყვნენ და დაუახლოვდნენ ჩვენს კულტურას. აღბეჭდილია ა. ოსტროვსკის სიტყვები, წარმოთქმული თბილისში მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე, პეტრე ჩაიკოვსკის ფოტოსურათები, გადაღებული თბილისის საზოგადოების წარმომადგენლებთან. ექსპოზიციაში შედის აგრეთვე იმ ქართველ მსახიობთა, კომპოზიტორთა პორტრეტები, რომლებიც მოსკოვში მოღვაწეობდნენ. გამოფენაზე პირველად გამოქვეყნდება კ. მესხიანიძის მიძღვნილი წარწერიანი ფოტოსურათები ნემიროვიჩ-დანჩენკოსი, ა. ლენსკისა, მ. ერმოლოვასი, გ. ფედოტოვასი და ე. ლეჩკოვსკაიასი.

გამოფენისათვის შერჩეულ მემორიალურ ნივთებს შორის ყურადღებას იპყრობს ერეკლე II-ს თოფი, მისი ხალათი, გრიბოედოვის საწერი მაგიდის მოწყობილობა, მაკინე ამირაჯიბის ნაქონი სუფრა, რომელზეც ამოქარგულია 1.000-ზე მეტი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გვარი, ვინც მასთან ოჯახში ყოფილა სტუმრად. მათ შორის ბევრი რუსია. ექსპოზიციისათვის შერჩეულია „ვეფხისტყაოსნის" ყველა რუსული თარგმანი, აგრეთვე ზიჩის გამოუქვეყნებელი ილუსტრაციების ესკიზები.

გამოფენისათვის მასალები შერჩეულია საქართველოს ხელოვნების, ლიტერატურისა და თეატრალური მუზეუმებიდან.

* * *

წარმოებას — ღირსეული ცვლა

★

წერილების მიმოხილვა

★

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან რედაქციაში შემოდის უამრავი წერილი, რომლებშიც საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდები გამოთქვამენ მტკიცე გადაწყვეტილებას ჩადგნენ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის რიგებში და თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის ნათელი შენობის აგებაში.

თბილისის სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალური სახლის კულტურულ - მასობრივი მუშაობის ინსტრუქტორი მ. ტრაპაიძე გვაცყობინებს, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ კულტურის სახლში თავი მოიყარეს დამამთავრებელი კლასების ახალგაზრდებმა, პედაგოგებმა, რაიონის საწარმოთა მოწინავე მუშებმა. 66-ე საშუალო სკოლის 70-მდე მოსწავლემ გულწრფელად განაცხადა, რომ ისინი სკოლის დამთავრებისთანავე წავლენ სამუშაოდ ფაბრიკა-ქარხნებში.

მახარაძელი მოსწავლე ნუნუ დანელია გვწერს, რომ იგი ახლაც, სწავლის პროცესში, ნაყოფიერ შრომას ეწევა. ზვანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში მას მიმაგრებული აქვს ჩაის პლანტაცია, რომელსაც თვალისჩინივით უვლის. შარშან შრომისმოყვარე ქალიშვილმა 2.300 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა და 186 შრომადღე გამოიმუშავა. შრომა დაუფასდა — ნუნუ მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიავლინეს.

მეათეკლასელ გოგონას გადაწყვეტილი აქვს სწავლის დამთავრებისთანავე ენერგიულად ჩაება საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. მეგობრის მაგალითს მიბაძავენ მოსწავლეები ნ. მიქატაძე, ნ. კოსტავა, ე. ბაკურაძე. ვ. არაშიძეს კი სურს წარმოებას დაუკავშიროს თავისი დამოუკიდებელი შრომითი ცხოვრება.

— მალე სიმწიფის ატესტატებს მივიღებთ. რა სიხმელოდ ბეჯითი შრომით შეეძლებთ გადავუხადოთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ჩვენზე გაწეული ამაგი. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობას მოვკიდებთ ხელს, — ვკითხულობთ რუსუდან, ჟუჟუნა და კლარა ჩიხრაძეების მიერ ონის რაიონის სოფელ უწერის საშუალო სკოლიდან რედაქციისათვის გამოგზავნილ ბარათში.

შარშან ფოთის მე-2 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სიმწიფის ატესტატით მივიდა წარმოებაში. აი თუნდაც ერთ-ერთი მათგანი — ლ. ბებია. იგი რკინიგზის კვანძზე მოეწყო სამუშაოდ და დღეს უკვე საქმის მცოდნე ზეინკლად ითვლება. მოწინავეთა შორის ასახელებენ მის ამხანაგს ფოთის სარემონტო კანტორის დურგალ ჯემალ ლორთქიფანიძესაც. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: ახალგაზრდა ხარატები ჯანიკო კეშელავა და ზაურ ჭანტურია, გურამ ჯოლია, რაულ გიგინეიშვილი, ემზარ შუბლაძე, გურამ უგრეხელიძე, ჯემალ ლაბარტყავა... ეს ის ახალგაზრდები არიან, ვინც მშობლიური სკოლა ასახელა, ვინც წარმატებით შრომობს და სწავლასაც არ ივიწყებს.

პარტიის მოწოდების პასუხად ახალგაზრდები პატრიოტულ ინიციატივას იჩენენ, მე-6 საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებმა ვ. კვიკვინიამ, ფ. კონჯარიამ, ლ. ცხომარიამ, ე. ჯალაღანიამ და მრავალმა სხვამ განაცხადეს, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ იმუშავებენ, ზოგი — ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, ზოგი — ფოთის წისქვილ-კომბინატში. ასეთივე სურვილი აქვს ბევრ მათს თანატოლ ბიჭს. ბევრ ახალგაზრდა ბიჭს, ბევრ ახალ ადამიანს, ბევრ ახალ ბედს ეხმიანებოდა ეს ამბავი.

ხულოს რაიონის დიოკნისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ვ. ბურჭულაძის წერილში აღწერილია, რა აღფრთოვანება გამოიწვია მოსწავლეებში კომუნისტური პარტიის მოწოდების გაცნობამ.

— ვინ იფიქრებდა ადრე, რომ აჭარელ ქალს უფლება ექნებოდა საზოგადოების აქტიური წევრი ყოფილიყო, ეშრომა და ესწავლა, — ამბობს აჭარელი გოგონა შუშანა ბერიძე.

— საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე წავალ ბელღეთის კოლმეურნეობაში სამუშაოდ, — მტკიცედ აცხადებს მოსწავლე გიორგი შავაძე, — შემდეგ კი სწავლასაც მოვახერხებ, გადაწყვეტილი მაქვს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდე.

— მე კი ყამირი მიწებისაკენ მიმიწევს გული, — აღფრთოვანებით ამბობს მეთერთმეტეკლასელი სერგო შავაძე.

ისინი მისაბაძ მაგალითად იქცნენ. შრომის დაწყების სურვილს გამოთქვამენ მოსწავლეები ო. კომახიძე, გ. კახაძე და ა. საგინაძე.

ვ. დოხნაძის წერილი— „მტკიცე გადაწყვეტილება" შეეხება ონამჩირის რაიონის მოსწავლეთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას — წავიდნენ საწარმოებში სამუშაოდ.

პატრიოტული წერილები მივიღეთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს მუშა ჯ. ფულარიას, დუშეთელი ახალგაზრდა მექანიზატორების ვ. პუტაშურისა და რ. მანუკოვისაგან. ისინი რედაქციას სთხოვენ გაზეთის საშუალებით მათს თანატოლებს გადავცეთ ახალგაზრდა სპეციალისტების გულწრფელი სურვილი და მეგობრული რჩევა — ჩადგნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ მებრძოლთა მრავალფეროვან

ქრონიკული ფიოთევა

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო საბჭოების არჩევნების შედეგები

ბუქარესტი, 5 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ, რომელიც მოეწყო ამა წლის 2 მარტს. ცნობაში აღნიშნულია, რომ საოლქო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 10.828.959 კაცმა, ანუ, ყველა ამომრჩეველთა 99,62 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 10.766.912 კაცმა, ე. ი. 99,43 პროცენტმა.

ბუქარესტის საქალაქო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 955.696 კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა 99,03 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 946.338 კაცმა, ანუ 99,02 პროცენტმა, რაიონული საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 9.215.503 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩეველთა 99,62 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 9.146.235 კაცმა, ანუ 99,25 პროცენტმა.

საოლქო და რაიონული დაქვემდებარების საქალაქო სახალხო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.692.350 კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა 99,58 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს 2.676.315 ხმა, ანუ 99,40 პროცენტი.

სასოფლო სახალხო საბჭოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 8.190.908 კაცმა, ე. ი. ამომრჩეველთა 99,63 პროცენტმა; სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 8.101.498 კაცმა, ანუ 98,91 პროცენტმა.

სახალხო საბჭოებში სულ არჩეულია 137.790 დეპუტატი. ყველა არჩეული დეპუტატი სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატია. დეპუტატთა 47,87 პროცენტი რუმინეთის მუშათა პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატია, 52,13 პროცენტი უპარტიო მშრომელია. არჩეულ დეპუტატთა შორის არის 35.085 ქალი, 87 პროცენტი რუმინელი, 13 პროცენტი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი.

კენჭისყრის შედეგები, წერს მოწინავე სტატიაში გაზეთი „რომინია ლიბერა“, მოწმობენ პარტიისა და ხალხის უერღვევ ერთიანობას. ამომრჩევლებმა თითქმის ერთსულოვნად მისცეს ხმა სახალხო დემოკრატიის ფრონტის კანდიდატებს და ამრიგად, ცხადყვეს, რომ სავსებით უპერენ მხარს პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას.

გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის სესია

კუალა-უმპური, 5 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მეთოთხმეტე სესია. სესია გახსნა მალაიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა აბდულ რაჰმანმა.

ნაგოს საბჭოში მუდმივ წარმომადგენელთა თათბირის კომუნიკე

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). გუშინ შაიოს სასახლეში ნატოს საბჭოში მუდმივ წარმომადგენელთა სხდომის შემდეგ გამოქვეყნდა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ნატოს 15 წევრი ქვეყანა თანახმაა „მონაწილეობა მიიღოს თათბირში უმაღლეს დონეზე იმ პირობით, თუ თათბირი გარკვეულ შედეგს გამოიღებს“, რაც საჭიროს ხდის „მის გულდასმით მომზადებას“. „ამის გამო,—ნათქვამია კომუნიკეში, — ამჟამად ძნელია განისაზღვროს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის თარიღი, როგორც ამას საბჭოთა მთავრობა მოითხოვს“.

„შეწყდეს ატომგუღის გამაღებული შეიარაღება“

ლონდონი, 5 მარტი. (საკდესი). ყოველკვირეული პროფკავშირული გაზეთის „რეალუეი რეკუუს“ ფურცლებზე პარლამენტის წევრი ლეიბორისტი ფრენკ ალონი გამოვიდა მოწოდებით „შეწყდეს ატომგულის გამაღებული შეიარაღება“.

აღნიშნავს რა, რომ ათასობით ინგლისელი მშრომელი მეტად ცუდ საბინაო პირობებში ცხოვრობს, ალონი აცხადებს, რომ ასეთ საშინელ მდგომარეობას შეიძლება ბოლო მოეღოს, თუ მთავრობა შეამცირებს განუზომლად დიდ სამხედრო ხარჯებს. ეს ხარჯები, ამბობს იგი, არა მარტო უბადრუკ არსებობას განუმზადებენ ათასობით ადამიანს ინგლისში, არამედ აგრეთვე საფრთხეს უქმნიან მათ არსებობას, რადგან ინგლისის მონაწილეობა გამაღებულ ატომურ შეიარაღებაში არის თვითმკვლელობა.

საბჭოთა კავშირ-ირანის კომუნიკე მდინარე გერირუდის (თეჯენის) საზღვრისპირა უბნის წყლის რესურსების ერთობლივად გამოყენების შესახებ

თეირანი, 5 მარტი. (საკდესი). 1958 წლის 5 მარტს თეირანში ხელი მოაწერეს მდინარეების არაქსისა და ატრეკის საზღვრისპირა უბნების გამოყენების შესახებ საბჭოთა კავშირ-ირანის 1957 წლის 11 აგვისტოს შეთანხმების დამატებას მდინარე გერირუდის (თეჯენის) სსრ კავშირსა და ირანს შორის საზღვრისპირა უბანზე წყლის რესურსების ერთობლივი გამოყენების წინასწარი პროექტის შედგენის თაობაზე.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც სრული ურთიერთგაგების ვითარებაში, მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება პირველი რიგის საძიებო და საპროექტო სამუშაოებს მორწყვის მიზნით მდინარე გერირუდის (თეჯენის) წყლის რესურსების გამოყენებისათვის, შეიმუშავეს ამ სამუშაოთა ერთობლივად შესრულების პროგრამა.

როგორც წინასწარმა გაანგარიშებამ ცხადყო, საერთო წყალსაცავმა კაშხალმა, რომლის აგება განზრახულია მდინარის საზღვრისპირა უბანზე, პოლიხათუმის ხიდს ზემოთ ან ქვემოთ, შეიძლება შეაკავოს საშუალო წყლიანობის წელს 400 მილიონამდე კუბური მეტრი წყალი, რომელიც დღემდე უსარგებლოდ იღვრებოდა წყალმეტობისა და სელური ნიაღვრების პერიოდში. განზრახულია წყლის ეს რაოდენობა ორ თანაბარ ნაწილად გაიყოს მხარეებს შორის, რის მეოხებითაც მოირწყვება 10-15 ათასი ჰექტარი მიწა თურქმენეთის სსრ ტერიტორიაზე და ამდენივე ფართობი ირანის ტერიტორიაზე.

შეთანხმების დამატებაში გამოთქმულია რწმენა, რომ მდინარე გერირუდის (თეჯენის) საზღვრისპირა უბნის წყლის რესურსების გამოყენების ერთობლივი სამუშაოები კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას სსრ კავშირსა და ირანს შორის.

შეთანხმების დამატების ხელმოწერის შემდეგ სსრ კავშირის ელჩმა ირანში ნ. მ. პეგოვმა და ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ხ. ახავიმ ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, რომლებშიც აღნიშნეს მდინარე გერირუდის (თეჯენის) წყლის რესურსების მომავალი ერთობლივად გამოყენების დიდი მნიშვნელობა ორივე ქვეყნის საზღვრისპირა რაიონების სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, რაც უეჭველია, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და ირანს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საქმეს.

„ღირსშესანიშნავი ნაბიჯი მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის გზაზე“

პრაღა, 5 მარტი. (საკდესი). გაზეთი „რუდე პრავო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „ღირსშესანიშნავი ნაბიჯი მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის გზაზე“ დღეს წერს:

მთელ მსოფლიოში საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო ახლაძა საბჭოთა ნაბიჯმა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის გზაზე. ეს ნაბიჯი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, უსათუოდ მნიშვნელოვნად დაიჩქარებს უმაღლეს დონეზე თათბირის მომზადებას.

სსრ კავშირმა კვლავ ცხადყო თანმიმდევრული სამშვიდობო პოლიტიკა, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რაც მთელი მსოფლიოს ხალხებს სურთ.

ახლა რიგი დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებზეა, რომლებმაც უარი არ უნდა თქვან საკუთარ წინადადებებზე როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, და უნდა დაეთანხმონ საბჭოთა წინადადებებს — მოეწყოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი უშვე აპრილში, რათა უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევა შესაძლებელი გახდეს ამა წლის ივნისში.

საბჭოთა წინადადებაში, წერს გაზეთი, სავსებით სწორად ხაზგასმულია, რომ წარმატების მიღწევის რეალური პერსპექტივები აქვთ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებზეც არსებობს შეთანხმების გარკვეული შესაძლებლობა.

ასეთ საკითხებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ცენტრალურ ევროპაში უატომო ზონის შექმნის საკითხი და თერმოატომგულის იარაღის გამოცდის შეჩერების საკითხი. სწორედ აქ არსებობს შეთანხმების რეალური ბაზა.

მაგრამ ყოველივე ეს არ შეიძლება დაუკავშიროს სხვა პრობლემებს, ისეთებს, როგორიც არის გერმანიის საკითხის გადაჭრა, რადგან გერმანიის გაერთიანება თვით გერმანელების — ორივე გერმანული სახელმწიფოს საქმეა.

საბჭოთა კავშირის წინადადებანი, — აღნიშნავს დასასრულ გაზეთი, — რეალურია, რადგან ისინი გამოდიან ხალხთა მოთხოვნებიდან, რადგან მათი მიზანია პირველხარისხოვანი საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა, რასაც ეს წრაფვის ფართო საზოგადოებრიობა როგორც სოციალისტურ, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დასასრულ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკი ხალხი მიესალმება ახალ საბჭოთა ნაბიჯს, რომელიც აძლიერებს თათბირის მოწვევის იმედს.

არგენტინის ვიცე-პრეზიდენტის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი როსარიოდან (არგენტინა) იუწყება, ალეხანდრო გომესმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ არგენტინის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, განაცხადა, რომ არგენტინის ახალი მთავრობა მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთ ამჟამად არსებულ სამხედრო ბლოკში. „ჩვენ გვსურს ნათლად აღვნიშნოთ, — თქვა ა. გომესმა, — რომ მონაწილეობას არ მივიღებთ რაიმე სამხედრო პაქტში. ჩვენ არა გვსურს ვეკუთვნოდეთ რომელიმე ანტაგონისტურ ბლოკს, რამდენადაც მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს თავისი ბედი და მისი შვილები შინ უნდა დარჩნენ... ჩვენ არა გვსურს, რომ ჩვენი შვილები გაემგზავრონ უცხოეთში საომრად და დაიღუპონ საქმისათვის, რომელიც უცხოა ჩვენი ხალხისათვის“.

საგერძნეთის მთავრობის შემადგენლობა

ათენი, 5 მარტი. (საკდესი). დღეს მეფე პავლემ მიიღო საბერძნეთის ახალი, ეგრეთწოდებული სამსახურებრივი მთავრობის ფიცი; პრემიერ-მინისტრია გეორგაკოპულოსი (იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი).

ჟურნალი „დრუჟბა“

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება 1957 წლის ოქტომბრიდან პეკინში რუსულ ენაზე უშვებს ყოველკვირეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს „დრუჟბას“.

ჟურნალი მოგვითხრობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პროგრესზე პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, გვიჩვენებს, თუ რა წარმატებანი მოიპოვა ჩინელმა ხალხმა ჩინეთში სოციალისტურ მშენებლობასა და სოციალისტურ გარდაქმნებში, ასახავს ახალი ცხოვრების მშენებელი ჩინელი ხალხის ღონისძიებებს, აგრეთვე სისტემატურად აცნობს მკითხველთ ჩინეთის ისტორიას, კულტურასა და გეოგრაფიას, მის ისტორიულ ძეგლებს, ზნეჩვეულებას, ბუნებრივ სიმდიდრეს და სხვ.

ჟურნალი „დრუჟბა“ რეგულარულად ბეჭდავს ცნობებს სოციალისტურ ქვეყნებთან ჩინეთის მეგობრული ურთიერთობის შესახებ. ჟურნალის ყოველ ნომერშია ფერადი სურათები, ფოტოგრაფიები და ნახატები.

ჟურნალ „დრუჟბაზე“ ხელმოწერას იღებენ „სოიუზპეჩატის“ საქალაქო განყოფილებები, კავშირგაბმულობის კანტორები და განყოფილებები, ფოსტალიონები, აგრეთვე პრესაზე ხელმოწერის საზოგადოებრივი რწმუნებულები ფაბრიკა-ქარხნებში და ახალშენებებზე, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

ხელმოწერის ფასია 6 თვით — 26 მანეთი, 3 თვით — 13 მანეთი.

ჟურნალი „დრუჟბა“ იყიდება „სოიუზპეჩატის“ ჟურნალ-გაზეთების კიოსკებში.

ერთი ნომერი ღირს 1 მანეთი.

მეცნიერებათა აკადემიაში

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელსაც სოფლის მეურნეობის პროფილის ყველა სამეცნიერო ინსტიტუტი გადაეცა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება და ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილება გარდაიქმნა ბიოლოგიურ მეცნიერებათა და სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილებებად. ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების შემადგენლობაში შევიდა ზოოლოგიის, ფიზიოლოგიის, პალეობიოლოგიის, ბოტანიკის, სატყეო ინსტიტუტები, თბილისის ცენტრალური და ბათუმისა და სოხუმის ბოტანიკური ბაღები, ხოლო სამედიცინო მეცნიერებათა განყოფილებაში ექსპერიმენტული მორფოლოგიის, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის და ახლად გახსნილი კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტები.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებაში სხვადასხვა დარგის კვლევითი მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისა და ამ განყოფილების საგრძნობი გაზრდის გამო ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილება გაიყო ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიისა და გეომორფოლოგიის განყოფილებად.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება.

საბჭოთა კავშირის სამხრეთი რაიონებისათვის (კავკასია, შუა აზიის რესპუბლიკები, სამხრეთი უკრაინა, მოლდავეთი, ვოლგისპირეთი), მათ შორის საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას — ენერგეტიკის, ირიგაციის, კომუნალური და სამრეწველო წყალმომარაგების, ხე-ტყის დაცურების, წყლის ტრანსპორტის, წყალდიდობასთან ბრძოლისა და თევზის მეურნეობის საკითხების შესწავლას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მდინარეთა კასკადური გამოყენების სქემების დამუშავებისას. ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტში უკანასკნელი წლების მანძილზე ამ მიმართულებით ინტენსიური მუშაობა წარმოებს და უკვე მიღებულია საყურადღებო მეცნიერული და პრაქტიკული შედეგები. აღნიშნულ დარგში კვლევა-ძიების შემდგომი განვითარების მიზნით ენერგეტიკის ინსტიტუტში შეიქმნა წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების განყოფილება.

ეკონომიკის ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკის განყოფილებასთან ჩამოყალიბდა მშენებლობის ეკონომიკის ჯგუფი.

მარადმწვანე მცენარეები თბილისის ქუჩების გამწვანებისათვის

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის 1500 წლისთავისათვის. რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა თბილისის ქუჩების გამწვანებისათვის დაამზადეს რამდენიმე ათასი ძირი მარადმწვანე მცენარეები.

ამ დღეებში მახარაძიდან თბილისში გაიგზავნა 56 ვაგონი სხვადასხვა ძვირფასი ჯიშის მცენარე. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნაგომრის, ძიმითის, მერიის, ნატანების კოლმეურნეობებმა, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ და სხვებმა.

ავტომატები საზოგადოებრივი კვების ობიექტებში

ბევრი სიახლე ხორციელდება საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვისა და სხვა დიდი ქალაქების გამოცდილების მიხედვით თბილისში ეწყობა სასაუზმე-ავტომატები. მთელ რიგ ობიექტებზე ავტომატების მოსაწყობად მიმდინარეობს შენობების კაპიტალური შეკეთება და რეკონსტრუქცია. ასეთი რეკონსტრუქციის შემდეგ მარჯვენა ნაპირის სასადილოების № 1 ტრესტმა რუსთაველის პროსპექტზე (ყოფილი კაფეტერია) გახსნა ავტომატური სასაუზმე და თვითმომსახურების სასადილო.

აქ მოწყობილია ორი დარბაზი. ერთ მათგანში დაიდგა ლუდისა და ცივი საუზმის 14 სასაუზმე-ავტომატი. მომხმარებელი სალაროში შეიძენს მისთვის არჩეული საუზმის უეტონს, ჩაგდებს ავტომატში, მანქანა გაიხსნება და მყიდველის წინ გაჩნდება ის საჭმელი, რომელიც მას სურს. ლუდის ავტომატში უეტონის ჩაგდების შემდეგ გაიხსნება ონკანი და ჭიქაში ჩამოისხმება ზუსტად ნახევარი ლიტრი. ავტომატურ სასაუზმეებს ის უპირატესობა აქვს, რომ ათავისუფლებს მუშახელს, აჩქარებს მომსახურებას.



ვის არჩეული საუზმის უეტონს, ჩაგდებს ავტომატში, მანქანა გაიხსნება და მყიდველის წინ გაჩნდება ის საჭმელი, რომელიც მას სურს. ლუდის ავტომატში უეტონის ჩაგდების შემდეგ გაიხსნება ონკანი და ჭიქაში ჩამოისხმება ზუსტად ნახევარი ლიტრი.



ავტომატებზე: (ზევით) ავტომატსასაუზმეში; (ქვევით) ლუდის ავტომატთან. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეორე დიდ დარბაზში გაიხსნა სასადილო, რომელიც ვაჭრობს თვითმომსახურების წესით. მომხმარებელი მიდის ბუფეტთან, იღებს სინს, გაივლის ბუფეტს, ან სინზე დაალაგებს ყველაფერს, რაც მას სურს, და სალაროში, რომელიც ბუფეტის ბოლოშია მოთავსებული, გადაიხდის საფასურს.

თვითმომსახურების სასადილოს აქვს ფართო ასორტიმენტის კერძები — შემწვარი და მოხარშული ხორცეული, თევზეული, ძეხვეული, ბოსტნეული, საკონდიტრო ნაწარმი, ცივი და ცხელი სასმელები. კერძებს ამზადებს 10 მზარეული გამოცდილი შეფ-მზარეულის გრ. კანთელაძის ხელმძღვანელობით.

გუნების საიდუმლოებათა მზვერავები

ცის ლაჟვარდში შორს აღმართულა იალბუზი. მზეზე ბრწყინავს მისი ორთავა მწვერვალი.

ლამაზი ბუმბერაზის ფერდობებზე მრავალი წელია მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი გეოფიზიკის ინსტიტუტის იალბუზის ექსპედიცია. ოცდაჩვიდმეტ მეცნიერ თანამშრომელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი კონსტანტინეს-ძე სულაქველიძის ხელმძღვანელობით წლითიწლობით შეაქვს თავისი წვლილი მეცნიერებაში. ყაბარდო-ბალყარეთის მცხოვრებნი მათ კავკასიის ბუნების საიდუმლოებათა მზვერავებს უწოდებენ.

ექსპედიციის ძირითადი სამეცნიერო სადგური ბაქსანის ხეობის სათავეებშია ზღვის დონიდან 2.200 მეტრ სიმაღლეზე. სადგურის დაბა მოთავსებულია ფიქვნარით მდიდარ ტერსკოლის ტაფობში. რამდენიმე ასეული მეტრით უფრო მაღლა კიდევ ოთხი სადგურია, ხოლო მათგან ბევრი მიმართულებით მიდის ბილიკები სალაშქრო ბანაკებისაკენ.

ექსპედიციის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ჭექა-ქუხილის გამომწვევი ღრუბლების დაშლის ცდებს აწარმოებს. სხვადასხვა სიმაღლეზე რომ მუშაობენ, ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ მივიდნენ ღრუბლთან ან შიგ შევიდნენ. ეს ქმნის საუკეთესო პირობებს დაკვირვებისა და სხვადასხვა კვლევის საწარმოებლად.

მეცნიერთა ბეჯითი შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ნაპოვნია იმის გზა, რომ განხორციელდეს ადამიანის ძველთაძველი ნატვრა — ალაგმოს ღრუბლთა სამყაროს სტიქია. 75 ცდიდან 71 დადებითი ეფექტით დამთავრდა: ღრუბლები რამდენიმე წუთში იფანტებოდა.

...ეს მოხდა გასულ შემოდგომაზე ალაზნის ველზე — ვენახების სამეფოში, მაღლა ცაში გამოჩნდა ღრუბელი, რომელიც თოვლით დაფარულ მწვერვალს ჰგავდა. იგი შეიძლებოდა ყოველ წუთს გადაქცეულიყო ჭექა-ქუხილის ღრუბლად. შესაძლო იყო, რომ ღრუბლიდან მიწას დაატყდებოდა გამანადგურებელი სეტყვა, რომელიც ხშირად დიდ ზარალს აყენებს ვენახებს.

მეცნიერებმა გადაწყვიტეს დაეშალათ ეს ღრუბელი. და აი მას თვითმფრინავმა გადაუარა. ღრუბელმა დაშალა, გაფანტვა იწყო და, ბოლოს, ცის ლაჟვარდოვან სივრცეში გაქრა.

ინჟინერმა ალექსანდრე ვასილის-ძე ჩუდაიკინმა მოახერხა ცდის თითქმის ყველა სტადია გადაელო.

მომავალ გაზაფხულზე იალბუზის ექსპედიციის თანამშრომლები ღრუბლების დასაშლელად პრაქტიკულ ცდებს მოაწყობენ 80 ათას ჰექტარ ფართობზე. ეს მეცნიერთა კოლექტივის დიდი შრომების დასკვნითი ეტაპი იქნება. ახლა ენერგიული მზადება წარმოებს ჭექა-ქუხილის ღრუბლებთან ესოდენ ვრცელ ფართობზე ბრძოლისათვის.

მაგრამ ექსპედიცია მარტო ამას რადი აკეთებს. მაგალითად, ცნობილია, თუ რა დიდ ნგრევას იწვევს ზვავები. ამასთან დაკავშირებით საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები დიდი ხანია ცდილობდნენ მიეღოთ პასუხი ასეთ კითხვაზე: სად და როგორ უნდა აშენდეს მთავრიან პირობებში, ვთქვათ, ჰიდროელექტროსადგურები ან საგზაო ხიდები და როგორი უნდა იყოს ზვავის საწინააღმდეგო ნაგებობანი? ხანგრძლივი კვლევის შემდეგ ექსპედიციის მუშაკებმა პასუხი გასცეს კითხვაზე.

არის კიდევ ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომლებზეც წარმატებით შრომობენ ორთავა იალბუზის ფერდობებზე ბუნების საიდუმლოებათა მზვერავები.

(„იზვესტია“, 2-III).

ვ. სმისლოვი—მ. ბოტვინიკი

მოსკოვი, 6 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გუშინ მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანშის პირველი პარტია, რომელიც გადადებული იყო ექს-ჩემპიონის მ. ბოტვინიკის უპირატესობით, მისივე გამარჯვებით დამთავრდა.

დღეს გიმართა მატჩ-რევანშის მეორე პარტია. თეთრებით თამაშობდა მ. ბოტვინიკი. პარტია გადაიდო. ბოტვინიკს ზედმეტი პაიკი აქვს.

დამთავრდა ჩემპიონაჟის პირველი ეტაპი

თბილისის სახელმწიფო ცირკში 5 დღეს გრძელდებოდა პირველი ტური ჩვენი ქვეყნის XXIV ჩემპიონატისა კრივში.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელმა კრივში ა. ბაკრაძემ განაცხადა: ჩემპიონატის პირველი ეტაპი ერთ-ერთი მასობრივი და საინტერესო ასპარეზობა იყო. აღსანიშნავია ახალგაზრდების წარმატება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მაღალი ბრძოლისუნარიანობით.

კარგი შედეგი მოიპოვეს საქართველოს მოკრივეებმა. მაგალითად, თუ გასულ სასპორტო სეზონში საკავშირო პირველობის ფინალში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდა მხოლოდ 2 მოკრივე, წელს მოსკოვში რინგზე გამოვა საქართველოს 7 სპორტსმენი. გაიზარდა მოკრივეთა ტექნიკური მომზადების დონე. საქართველოდან, გარდა თბილისისა, ამ დიდ შეჯიბრებაში წელს მონაწილეობა მიიღეს ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, სოხუმის, ტყვარჩელისა და სხვა ქალაქების მოკრივეებმა.

თბილისის ზონიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს უმჩატეს წონაში ს. მუსაელიანმა (ბაქო), გ. გასპარიანმა (ერევანი), მჩატე წონაში — ს. ჩოტულიდიმ (თბილისი), ვ. კლუბნიჩკინმა (ლენინგრადი), ქვემსუბუქ წონაში — გ. ბუმბიაშვილმა (თბილისი), კ. კარაპეტიანმა (ერევანი), მსუბუქ წონაში — ა. ბორისოვმა (დონის როსტოვი), ვ. აგაროროვმა (ტაშკენტი), პირველ ქვესაშუალო წონაში — რ. ტამულისმა (ყაუნასი), ბ. ცხვირაშვილმა (ბაქო), მეორე ქვესაშუალო წონაში — ვ. ლევინმა (მოსკოვი), ე. ბუდმანმა (ტაშკენტი), პირველ საშუალო წონაში — კ. ჯანერიანმა (ერევანი), ა. კოლესნიკოვმა (ახალციხე), მეორე საშუალო წონაში — რ. აკოპოვმა (თბილისი), ნ. დარბაისელმა (თბილისი), ქვემძიმე წონაში — ვ. ჰაიფანჯიანმა (ერევანი), თ. მიქაელიანმა (თბილისი), მძიმე წონაში — ლ. მუხინმა (დონის (როსტოვი), კ. ბაბახანიდიმ (თბილისი).

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

დღეს თბილისის თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის — მეექვსე სართული, **მუსიკალური კომედიის** — ახალი სიმღერა, **სომხური დრამის** — როგორ მოვათვინიეროთ ცოლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—ბაში-აჩუკი (აბ. № 12, 6 ს.), **სომხური დრამის** — ზღაპარი ზღაპრებზე (11 ს. და 1 ს., მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი), **ძერჟინსკის სახელობის ალუბი** — ბაკი-ბუკი (11 ს. და 3 ს. თოჯინების რუსული თეატრის სპექტაკლი).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ბალტიის დიდება, **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — იან ჟიჟკა, **თბილისი** — დუნაის ქალიშვილი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი** — ქარაშხლით შობილნი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ლეილა და გაბორი, **კოლხიდა, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (სახაფხულო). **კომუნარების ბაღი** — ამბავი საბრალო შეყვარებულებისა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, სარეწაო საბჭოს კოოპერაციის კულტურის სახლი** — ქუჩა სავსეა ძოულოდნელობით.

მეუღლე ბაბი, შვილი მარგალიტა; გურამ ნიკიფორაძე იუწყებიან
ალექსანდრე ივანეს-ძე მდივნის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III. 3 ს. მუშკორის ქ. № 26 (ლენინის რ.).

შვილები ალექსანდრე, გოგუცა, გიორგი, ლილი, რძალი ლენა, სიძე ვასო მანჯგალაძე იუწყებიან
ივანე ოტიას-ძე ტომარაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. ფურცელაძის ქ. № 14,

მეუღლე აპილო, შვილები იპოლიტე, ზინა, ტატიანა, დები პაშა, გაიანე, ძმა დანიელ, რძალი ოლია ჭანტურია, სიძეები გ. ჯობავა, ა. ჯიშკარიანი ოჯახებით იუწყებიან
ერმილე ნიკოლოზის-ძე გერგაიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-III სოფ. ნოჯიხევში (ხობის რ.).

დარეჯან ბუხულეიშვილი, გივი, სოსო ჯანელიძეები, გივი გაბიტაშვილი, თინათინ, გრიგოლ სარალიძეები იუწყებიან
პელაგია სიმონის ასულ ჯაფარიძე-ბუხულეიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. ჩიტაძის ქ. № 10.

დები ზინა, ქსენია, გუგული, ძმა აკაკი, რძლები ზოია, თამარ, სიძე ი. ბროკაშვილი ოჯახებით იუწყებიან ექიმ
ლევან ანტონის-ძე ფალავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. კლარაცეტკინის ქ. № 148.

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის 53-ე საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის
ნინო ვასილის ასულ ფრანგიშვილის
გარდაცვალებას.

შვილები მარიამ გურაშვილი, თამარ ოგბაიძე; ევგენია, ვალერიან, მერი, მაყვალა, შალვა იუწყებიან
ვარვარა ზაქარიას ასულ მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 4 ს. საბჭოს ქ. № 70.

დედა ქეთევან, მამა იოსებ, მეუღლე ივანე, შვილები ავთანდილ, ტარიელ, ძმა გიორგი, და ნინო, რძალი ეუფუნა გოლეთიანი, სიძე ფ. ჯავაშვილი ოჯახებით იუწყებიან
ეუფუნა იოსების ასულ მახარობლიძე-წიკლაურის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 4 ს. ფასანაურის ქ. №19.

შვილები ბაბულია, ამბროსი, რძალი ელენე; ზურაბ, მარინე გველესიანები იუწყებიან
გერასიმე ალექსის-ძე გველესიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-III, 8 ს. გამოსვენება 9-III, 3 ს. მერკვილაძის ქ. № 15.

მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი იუწყება
ნათელა ანდრიას ასულ რუხაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III სამტრედიაში, გამოსვენება გრკის ქ. № 33.

ძმა დავით, რძალი მარიამ; სოსო ღოღობერიძე, ლიზა არჯევანიძე, ანიკო ქავთარაძე იუწყებიან
გიორგი სოლომონის-ძე ღოღობერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდ